ამერიკისმცოდნეობა American Studies

თემი როგორც სოციალურ-კულტურული და სივრცითი პროცესი და მისი როლი ამერიკულ საზოგადოებაში

თინათინ გოგინავა
ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
e-mail: goginavatinatin@gmail.com
https://doi.org/10.52340/lac.2026.36.17
SJIF 2026: 8.6798

სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში „თემის“ ცნება მნიშვნელოვან კონცეპტუალურ ტრანსფორმაციას განიცდის: გეოგრაფიულად შემოსაზღვრული და შედარებით სტატიკური ერთეულის ნაცვლად, თემი სულ უფრო მეტად განიხილება როგორც დინამიკური სოციალურ-კულტურული და სივრცითი პროცესი. ამ პერსპექტივით, თემი არ განისაზღვრება მხოლოდ ტერიტორიული სიახლოვით ან წინასწარ მოცემული სოციალური კავშირებით; იგი ყალიბდება და გარდაიქმნება საერთო ნარატივების, ღირებულებების, იდენტობების, სიმბოლოებისა და კოლექტიური პრაქტიკების მეშვეობით. შესაბამისად, თემის თანამედროვე გააზრება აუცილებლად მოითხოვს კულტურასთან მისი ურთიერთმიმართების ანალიზსაც.

სტატიის მიზანია, თემის ცნების თეორიული გააზრება ამერიკული საზოგადოების ისტორიული გამოცდილების ანალიზის მეშვეობით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა თემის ფორმირების მრავალფეროვან მექანიზმებსა და იმ სოციალურ-კულტურულ პროცესებს, რომელთა მეშვეობითაც იქმნება კოლექტიური კავშირები, იდენტობები და სოლიდაროზის ფორმები. იმის დასტურად თუ როგორ იქცევა სივრცე პოლიტიკური მოქმედებისა და წინააღმდეგობის არეალად, ხოლო სიმბოლოები და კოლექტიური ნარატივები - სოციალური კავშირებისა და საერთო იდენტობის ფორმირების საშუალებებად, სტატიაში განხილულია შავკანიანთა სოციალური მოძრაობები და ის გზები, რომელთა საშუალებითაც მარგინალიზებული ჯგუფები სტრუქტურული უთანასწორობის პირობებში წინააღმდეგობის და სოლიდაროზის სივრცეებს ქმნიან.

სტატიაში ასევე გაანალიზებულია ამერიკულ საზოგადოებაში თვითორგანიზების და „ვოლუნტარიზმისა“ ტრადიციები, როგორც თემის ფორმირების მნიშვნელოვანი მოდელები. ამასთანავე, ყურადღება ეთმობა ციფრული და ვირტუალური თემების განვითარებას, რომლებიც სოციალური ურთიერთქმედებისა და საზოგადოებრივი აქტივიზმის ახალ შესაძლებლობებს ქმნის.

საკვანძო სიტყვები: თემის ცნება, თვითორგანიზება, ამერიკული საზოგადოება, სოციალური მოძრაობები, სოციალურ-კულტურული პროცესი

ანთროპოლოგები და სოციოლოგები „თემს“ განსაზღვრავენ როგორც ერთობას, რომელიც შემოსაზღვრულია მრავალი გზით: გეოგრაფიული, დროითი, მაგრამ ამავე დროს ენით, ჩვეულებებით, იდეოლოგიით ან სხვა გაზიარებული სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების ასპექტით (Fenn e tal. 2015:352). თემი გულისხმობს ინდივიდების გაერთიანებას და საერთო ღირებულებების გაზიარებას, რომლებსაც ხშირად საერთო კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობა აქვს (Noyes, 1995: 449).

სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში „თემის“ ცნება განიცდის ფუნდამენტურ ტრანსფორმაციას - მკაცრად შემოსაზღვრული, სტატიკური, გეოგრაფიული ერთეულიდან ის იქცევა დინამიკურ, მრავალგანზომილებიან სოციალურ-კულტურულ და სივრცულ პროცესად. ტრადიციული მიდგომებით თემის აღქმის საზღვრები ირღვევა და თემი ხდება მუდმივად მიმდინარე პრაქტიკა, მნიშვნელობათა წარმოებისა და სოციალური ურთიერთქმედების ცოცხალი ველი.

სოციოლოგი რობერტ ვაზნოუს სიტყვებით, თემი არ არის მხოლოდ ფიზიკური ადგილი და სოციალური კავშირების ნაკრები, ის ასევე კულტურული კონსტრუქციაა (Wuthnow,1989). თემის როგორც სოციალურ-კულტურული პროცესის არსებობა ვაკუუმში შეუძლებელია. სოციალური ურთიერთობები და გამოცდილება მხოლოდ სივრცეშია შესაძლებელი, რაც სივრცეს მნიშვნელობასა და ღირებულებას ანიჭებს. სოციალურ ურთიერთობებზე გავლენას ახდენს სივრცის ფიზიკური და კულტურული მოწყობა (Walsh & High,1999:258). სივრცულ კონტექსტში თემი ჩვეულებრივ, ნეიტრალურ ფიზიკურ გარემოს გარდაქმნის განცდილ და მნიშვნელობით სავსე ადგილად. როდესაც ადამიანები იკრიბებიან რიტუალების, კოლექტიური ზეიმების ან კრიზისული მომენტების დროს, ისინი თავიანთი ყოფით და კულტურული პრაქტიკებით ტერიტორიას ანიჭებენ ახალ, ემოციურ და სოციალურ განზომილებას. ამგვარად, სივრცე ხდება იმ ენერგიისა და სოლიდარობის მატარებელი, რომელსაც თემი აწარმოებს.

თემის თანემედროვე გაგება აუცილებლად მოითხოვს, რომ მასთან მიმართებით დამატებით ვიკვლიოთ კულტურის ცნებები. კულტურა ისევე, როგორც თემი, არის ცნება, რომლის გარშემოც მკვლევრების ერთიანი შეჯერებული აზრი არ არსებობდა. ისეთი მოაზროვნეები, როგორიცაა ვილიამსი, გეერცი, პიერ ბურდიე (Williams, Geertz, and Pierre Bourdieu) და მრავალი სხვა თვლიდნენ, რომ კულტურა მეტია, ვიდრე გამოსახულებები, მოძრაობები, ხმები და სივრცეები, რასაც ის აწარმოებს. კულტურა არის ხედვის, კვლევის და პასუხის გაცემის საშუალება იმ სტრუქტურებისა და მოვლენებისთვის, რაც გარს ერტყმის ინდივიდს, ოჯახს, თემს და სახელმწიფოსაც კი. ამ არსით კულტურა - ეს არის სამყაროს წარმოსახვითი თანხმობა. უოლში და ჰაი თვლიან, რომ თემის აღქმაც კულტურის მსგავსია. თემიც ყველა იმ ნიშნის გათვალისწინებით უნდა იქნას შესწავლილი, რაც მნიშვნელობის მატარებელია (Walsh & High 1999: 269-270). თემის ცნება თავის განსაზღვრებაში უნდა მოიცავდეს „კულტურულ და წარმოსახვით ელემენტებს“ და აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ საზოგადოების მუდმივად ცვალებადი შემადგენლობა ის, რასაც უოლში „დინამიკურ პროცესს“

(*fluid process*) უწოდებს (Walsh & High 1999:258). თემის ნებისმიერი განსაზღვრების ცენტრალური ნაწილი კი იდენტობის და გამოცდილების ფორმაციაა, რომელიც გამყარებულია ურთიერთობებით.

სოციალური ჯგუფი ან სისტემა აწარმოებს ფართო სპექტრის სივრცულ მარკერებსა და სიმბოლოებს, რაც ძალაუფლების უფრო დიდ ისტორიულ სისტემებს აირეკლავს. როგორც ვიქტორ ტერნერი აღნიშნავს, კულტურული ფორმები ადამიანებს უზრუნველყოფს შაბლონებისა და მოდელების ერთობლიობით, რომლებიც რეალობის პერიოდულ გადათამაშებას წარმოადგენს. ისინი არ შემოიფარგლებიან მხოლოდ აბსტრაქტული კლასიფიკაციებით, არამედ აქვთ პერფორმატიული ძალა, ისინი ადამიანებს ერთდროულად ფიქრისა და მოქმედებისკენ უბიძგებენ (Turner, 1966:128-129). სიმბოლოების მნიშვნელობა თემის იდეის კვლევისთვის აუცილებელი, რადგან საერთო სიმბოლოების სისტემის გაგება თემის გაგების წინაპირობაა (McMillan & Chavis 1986:10).

ლოიდ ვარნერმა და მისმა გუნდმა თავიანთ კლასიკურ ნაშრომში „ჯოუნსვილი" ("Jonesville"), შუადასავლური თემის (midwestern community) კვლევის დროს დაასახელეს ისეთი კოლექტიური რეპრეზენტაციების საშუალებები, როგორიცაა: მითები, სიმბოლოები, რიტუალები, ცერემონიები და დღესასწაულები. მათი კვლევის თანახმად, იმისთვის რომ თანამედროვე საზოგადოებაში თემმა შეინარჩუნოს შეუფერხებელი ფუნქციონირება და ინტეგრაცია, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ეს საზოგადოება ჰეტეროგენულია, თემს უნდა ჰქონდეს საერთო სიმბოლოთა სისტემა (Warner, 1949).

ჯგუფები ხშირად იყენებენ სოციალურ კონვენციებს (სადღესასწაულო რიტუალებს, ენას, ჩაცმულობას) როგორც საზღვრებს, რომლის მიზანიცაა მის წევრებსა და არაწევრებს შორის გარკვეული სოციალური დისტანციის შექმნა (McMillan & Chavis 1986:11). მაგალითად, ამერიკის საზოგადოებაში შავკანიანი ლიდერები იყენებდნენ სიმბოლოებს შავკანიანთა თემის გასაერთიანებლად. სამეზობლოს სიმბოლოებად შესაძლოა მივიჩნიოთ მათი დასახელება (სახელწოდება), ორიენტირი, ლოგო ან არქიტექტურული სტილი. ხოლო ეროვნულ დონეზე კი ასეთი სიმბოლოებია: დღესასწაულები, დროშა, ენა, რაც მნიშვნელოვან ინტეგრაციულ როლს ასრულებს. უფრო ფართო შკალით კი ძირეული არქეტიპებია სიმბოლოები, რომლებიც კაცობრიობას აერთიანებს (Jung, 1916).

ვიქტორ ტერნერის თეორიის მიხედვით, თემის კულტურულ პროდუქტებსა და რიტუალებს აქვთ „მრავალხმიანი" (*multivocal*) ხასიათი. ეს ნიშნავს, რომ ერთსა და იმავე სიმბოლოს, რიტუალს ან სივრცით ნიშანს შეუძლია ერთდროულად ატარებდეს მრავალ მნიშვნელობას და ადამიანებზე მოქმედებდეს სხვადასხვა (ფსიქობიოლოგიურ, სოციალურ და კოსმოლოგიურ) დონეზე (Turner, 1966:129). საერთო სიმბოლოს სისტემა თემის არსის შექმნასა და შენარჩუნებაშიც მნიშვნელოვან ფუნქციებს ასრულებს. ერთ-ერთი მათგანი ჯგუფის საზღვრების შენარჩუნებაა. ნისბეტი და პერინი აღნიშნავდნენ, რომ სოციალურ კავშირში, პირველი და უმნიშვნელოვანესი, ყველა ჭეშმარიტი ქცევისა და ინტერაქციის სიმბოლური ბუნებაა (Nisbet & Perrin, 1977:47). ვაითმა კი სიმბოლო განსაზღვრა, როგორც, „საგანი, რომელსაც არსი ან ღირებულება ენიჭება მათ მიერ, ვინც მას იყენებს" (White 1949: 22).

ამერიკული საზოგადოება და მისი მრავალფეროვანი ისტორია შესანიშნავ ილუსტრაციას გვაძლევს იმისა, თუ როგორ ყალიბდება თემი, როგორც სოციალურ-კულტურული და სივრცითი პროცესი.

შეერთებული შტატების ისტორიაში სოციალური მოძრაობები ხშირად ასახავს იმას, თუ როგორ ცდილობს მარგინალიზებული ჯგუფი ახალი სივრცისა და სიმბოლოების შექმნას სტრუქტურული უსამართლობის წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში მაგალითად მოვიყვან შავკანიანთა სოციალურ მოძრაობებს. რასაც კარგად ეხმიანება ამერიკელი სოციოლოგის რობერტ პატნამის ფრაზა, რომ ორგანიზება გულისხმობს პირადი ტკივილისა და პრობლემების გარდაქმნას კოლექტიური მოქმედების საერთო ხედვად (Putnam et al., 2004:243)

სივრცის პოლიტიკური წარმოება: ფრანგი ფილოსოფოსისა და სოციოლოგის, ანრი ლეფევრის (Henri Lefebvre), ნაშრომში „სივრცის წარმოება“ (*La production de l'espace*, 1974) განვითარებული კონცეფციის თანახმად, სივრცე არ წარმოადგენს მხოლოდ ფიზიკურ გარემოს, რომელშიც სოციალური ცხოვრება მიმდინარეობს. იგი თავად არის სოციალური ურთიერთობების, ძალაუფლებრივი სტრუქტურების, ეკონომიკური ინტერესებისა და პოლიტიკური პროცესების შედეგად წარმოებული. ამასთანავე, სივრცე არა მხოლოდ სოციალური ურთიერთობების პროდუქტია, არამედ თავადაც მონაწილეობს მათ ჩამოყალიბებასა და კვლავწარმოებაში. ერთი და იგივე ფიზიკური სივრცე სხვადასხვა სოციალური ჯგუფისთვის განსხვავებულ მნიშვნელობასა და დატვირთვას იძენს (Lefebvre, 1991). ლეფევრის ამ თეორიული ხედვის საილუსტრაციოდ შეიძლება განვიხილოთ ამერიკის სამოქალაქო უფლებებისთვის ბრძოლის ისტორია. კერძოდ, 1965 წელს, ალაბამას შტატში, მარტინ ლუთერ კინგისა და სამოქალაქო უფლებების მოძრაობის სხვა აქტივისტების მიერ ორგანიზებული მარში “სელმადან“ „მონტგომერიმდე“, მარშის მონაწილეები უბრალოდ არ „გადაადგილდებოდნენ“ გზაზე, მათ არსებული გეოგრაფიული სივრცე პოლიტიკური წინააღმდეგობის, სამოქალაქო უფლებებისთვის ბრძოლისა და კოლექტიური სოლიდარობის გამოხატვის სივრცედ გარდაქმნეს. სივრცის პოლიტიკური წაროება მხოლოდ სივრცისთვის ახალი მნიშვნელობის მინიჭებას არ გულისხმობს, იგი არსებული სივრცითი წესრიგის გადახედვასაც გულისმობს. ამიტომ, აღნიშნული მარში შეიძლება განვიხილოთ, როგორც საჯარი სივრცის ხელახალი პოლიტიკური ათვისება.

სიმბოლოების ძალა: ამერიკული დროშა, ეკლესიები, საპროტესტო ჰიმნები („*We Shall Overcome*“) წარმოადგენდა მრავალხმიან სიმბოლოებს (*multivocal*), რომლებმაც მილიონობით ადამიანის ფსიქობიოლოგიურ და ემოციურ დონეზე იმოქმედეს, დაარღვიეს რასობრივი სტრუქტურის ბარიერები და შექმნეს ახალი, სოლიდარული თემ(ებ)ი.

ციფრული და ვირტუალური თემი და თანამედროვე ამერიკული აქტივიზმი: მოძრაობა „Black Lives Matter“ (BLM) ციფრული ეპოქისა და დეტერიტორიალიზაციის კლასიკური მაგალითია, ციფრული სივრცეებიდან წარმოშობილი სოციალური თემების. მოძრაობა, რომელიც თავდაპირველად ჰეშთეგით *#BlackLivesMatter* დაიწყო სოციალურ ქსელებში, გადაიზარდა გლობალურ, ამერიკული საზოგადოების ყველაზე მასშტაბურ სოციალურ პროცესში. ადამიანები, რომლებიც ფიზიკურად ათასობით მილის დაშორებით იყვნენ, ციფრული სიმბოლოების (მიმები,

ლოზუნგები, ვირუსული ვიდეოები) მეშვეობით ერთიანდებოდნენ. ვირტუალური „თემი“ მალევე გადავიდა მატერიალურ სივრცეში — ქალაქების ცენტრალურმა მოედნებმა, ძეგლებმა და ქუჩებმა მიიღეს ახალი სიმბოლური დატვირთვა, რაც აჩვენებს, თუ როგორ ებრძვის დინამიკური თემი მოძველებულ ინსტიტუციურ სტრუქტურას. ამ მაგალითის გააზრება საშუალებას იძლევა, თემის ცნების ტრანსფორმაცია დავინახოთ იმ პირობებში, როდესაც კოლექტიური კავშირების ჩამოყალიბება აღარ არის დამოკიდებული მხოლოდ საერთო გეოგრაფიულ სივრცეზე.

ამერიკულ საზოგადოებაში თვითორგანიზებისა და „ვოლუნტარიზმის“ (Voluntarism) ძლიერი ტრადიციის ხაზგასასმელად კიდევ ერთი საინტერესო მაგალითის მოყვანა არის შესაძლებელი.

კრიზისული და სტიქიური სოლიდარობა ე.წ. Disaster Communities: ამერიკულ სოციოლოგიაში არსებობს ფენომენი, რომელსაც კატასტროფის ჟამს წარმოშობილ/დაბადებულ თემებს უწოდებენ (მაგალითად, ქარიშხალი კატრინას დროს ნიუ-ორლეანში ან 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ ნიუ-იორკში). როდესაც ჩვეული სოციალური სტრუქტურა და ინსტიტუტები ინგრევა ან კრიზისში ვარდება, ამერიკულ საზოგადოებაში ავტომატურად ირთვება წარმოუდგენელი სათემო სულისკვეთება. ადამიანები, რომლებიც მანამდე ერთმანეთს არ იცნობდნენ, წამებში ქმნიან ეგზისტენციალურ, თანასწორუფლებოვან ერთობას. კრიზისი ანგრევს ყოველდღიურ სტრუქტურას, მაგრამ აფეთქებს ღრმა, სოლიდარულ სათემო ენერგიას, სადაც სხვისი გადარჩენა და მხარდაჭერა მთავარი ფასეულობა ხდება.

ამერიკული საზოგადოებისა და მისი ისტორიული გამოცდილების მაგალითზე თვითორგანიზების პროცესი განსაკუთრებით თვალსაჩინოა. ალექსის დე ტოკვილის მიერ აღმოჩენილი ვოლუნტარიზმისა და სამოქალაქო ჩართულობის კულტურა გვიჩვენებს, რომ ამერიკაში თემის იდეის სიძლიერე სწორედ ქვემოდან წამოსულ თვითორგანიზებაში (*grassroots*) მდგომარეობს. საზოგადოება არ ელოდება მხოლოდ „ზემოდან“ კარნახს, ის თავად ქმნის და აცოცხლებს სოციალურ სივრცეებსა და ინსტიტუტებს (Tocqueville, 1966).

ამერიკულ კულტურასა და საზოგადოებაში „თემის“ (Community) იდეა ღრმად არის ფესვგადგმული და ისტორიულად ქვეყნის გადარჩენის, განვითარებისა და იდენტობის ერთ-ერთ მთავარ საყრდენს წარმოადგენს. ამ ფენომენის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია ამერიკის თავისებურმა ისტორიულმა და სოციალურმა კონტექსტმა. აქ კი უმთავრესი ფაქტორი „პირველმოსახლეები“ და მათ მიერ დაარსებული თემებია. ადრეულ ამერიკაში, პირველმოსახლეებს (Pioneers) ძალიან მძიმე პირობებში უწევდათ ცხოვრება, რამაც წარმოშვა ურთიერთდახმარების, ერთობლივი ძალისხმევისა და კოლექტიური პასუხისმგებლობის კულტურა. მეორე ფაქტორი არის რელიგიური და ადგილობრივი თვითმმართველობა. ადრეული ევროპელი ემიგრანტების (განსაკუთრებით „პურიტანების“) თემები აგებული იყო თვითმმართველობის პრინციპზე. მესამე კი, არაერთხელ ნახსენები სამოქალაქო ასოციაციების ტრადიციაა, რომლის შესახებაც ყველაზე კარგად თავის კლასიკურ ნაშრომში *„დემოკრატია ამერიკაში“* ალექსის დე ტოკვილი აღნიშნავდა, რომ ნებისმიერი ასაკის, ხედვისა და მდგომარების ამერიკელს აქვს უნიკალური უნარი, შექმნას ან/და შეუერთდეს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ნებისმიერი პრობლემის მოსაგვარებლად (Tocqueville,1966:40) .

თანამედროვე თემის სტრუქტურა ფესვებს იღებს წარსულიდან და გრძელდება მომავალში, ის არ არის მემკვიდრეობით მიღებული, სტატიკური წერტილი რუკაზე ან კულტურის მიერ თავს მოხვეული იდეა, ის ადამიანთა განსაკუთრებული უნარის პროდუქტია, რაც გულისხმობს რაციონალურობას, თავისუფალ ნებას და მეხსიერებას, ყოველივე ეს კი საზოგადოებრივი ცხოვრების გამოცდილებით ვითარდება (Turner, 1966:188). თემი არის მუდმივად ცოცხალი და დინამიკური პროცესი.

თუკი ტრადიციული საზოგადოებები მკაფიოდ ფიქსირებულ, ტერიტორიულ სივრცეებსა და მატერიალურ სიმბოლოებზე იყვნენ დამყარებული, თანამედროვე გლობალიზებულმა და ციფრულმა ეპოქამ საფუძვლიანად შეცვალა თემის, როგორც სოციალურ-კულტურული პროცესის ბუნება. თემი არ არის მიბმული მხოლოდ კონკრეტულ ადგილზე ან რიტუალურ სივრცეზე - ის შეიძლება წარმოიშვას იქ, სადაც საერთო ინტერესები, ემოციები და კულტურული კოდები იკვეთება. თანამედროვეობაში ეს სათემო სულისკვეთება წარმატებით სცილდება ფიზიკურ საზღვრებს და ერთდროულად მკვიდრდება როგორც რეალურ, ისე ვირტუალურ სივრცეებში, რაც ადასტურებს, რომ თემი — როგორც კულტურული და სივრცითი პროცესი ადამიანური ყოფის ურყევი და მუდმივად განახლებადი ფუნდამენტია.

ლიტერატურა

1. Fenn, J., D. Blandy, T. J. Arnold, et al. “Training Community-Engaged Culture Workers at a Public University.” *The Journal of American Folklore* 128, no. 509 (2015): 351–68.
2. Lefebvre, Henri. *The Production of Space*. Translated by Donald Nicholson-Smith. Blackwell, 1991.
3. McMillan, David W., and David M. Chavis. “Sense of Community: A Definition and Theory.” *Journal of Community Psychology* 14, no. 1 (1986): 6–23.
4. Nisbet, Robert A., and Robert G. Perrin. *The Social Bond*. 2nd ed. Alfred A. Knopf, 1977.
5. Noyes, Dorothy. “Group.” *The Journal of American Folklore* 108, no. 430 (1995): 449–78.
6. Putnam, Robert D., Lewis M. Feldstein, and Don Cohen. *Better Together: Restoring the American Community*. Simon & Schuster Paperbacks, 2004.
7. Tocqueville, Alexis de. *Democracy in America*. Harper & Row, 1966. Originally published in 1835.
8. Turner, Victor. *The Ritual Process: Structure and Anti-Structure*. Cornell University Press, 1966.
9. Walsh, J., and S. High. “Rethinking the Concept of Community.” *Social History* 32, no. 64 (1999): 258-70
10. Warner, W. Lloyd. *Democracy in Jonesville: A Study in Quality and Inequality*. Harper, 1949.
11. White, Leslie A. *The Science of Culture: A Study of Man and Civilization*. Farrar, Straus & Cudahy, 1949.
12. Wuthnow, Robert. *Communities of Discourse: Ideology and Social Structure in the Reformation, the Enlightenment, and European Socialism*. Harvard University Press, 1989.

Tinatin Goginava
Iv.Javakhishvili State University
Tbilisi, Georgia
e-mail: goginavatinatin@gmail.com
https://doi.org/10.52340/lac.2026.36.17
SJIF 2026: 8.6798

Community as a Socio-Cultural and Spatial Process and Its Role in American Society

Abstract

In the social sciences and humanities, the concept of *community* is undergoing a significant conceptual transformation. Rather than being understood as a geographically bounded and relatively static entity, community is increasingly viewed as a dynamic socio-cultural and spatial process. From this perspective, community is defined not merely by territorial proximity or pre-existing social ties, but is formed and reshaped through shared narratives, values, identities, symbols, and collective practices. Accordingly, contemporary understandings of community necessarily call for an examination of its relationship with culture.

The purpose of this article is to explore the concept of community theoretically through the analysis of the historical experience of American society. Particular attention is paid to the diverse mechanisms of community formation and the socio-cultural processes through which collective bonds, identities, and forms of solidarity are created. To illustrate how space turns into a field of political action and resistance, and how symbols and collective narratives serve as instruments for forging social ties and a shared sense of identity, the article examines Black social movements and the ways in which marginalized groups create spaces of resistance and solidarity under conditions of structural inequality.The article also examines traditions of *voluntarism* and self-organization in American society as vital models of community formation. Attention is also drawn to the development of digital and virtual communities, which create new opportunities for social interaction and civic activism.

Ultimately, the article aims to present community not as a pre-determined and unchanging social entity, but as a historically and culturally evolving process. Although its forms continue to change, community retains its significance as a fundamental framework for the formation of collective ties, identity, and solidarity.

Keywords: *Concept of Community, Self-Organization, American Society, Social Movements, Socio-Cultural Process*

რეცენზენტი: პროფესორი ელენა ეკშებეევა